ოქმი № 10

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის გაერთიანებული სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 21 ნოემბერი, 15 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ნიჟარაძე, ე.არჩაია, ი.შენგელია, დ.ფხაკაძე, კ.გურული, ჯ.ბიბილეიშვილი,**

სულ: კომისიის 10 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, მ.სიმონიძე, გ.მანაგაძე, ბ. ბრეგაძე, გ.კილაძე, პ.ლილუაშვილი, რ.ქვაჩაკიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი **დ.ნიშნიანიძე,** სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი **ვ.გობეჯიშვილი,** მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე **მ.ხიდაშელი,** ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **თ.ბერიშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები.

სხდომა გახსნა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

/ბ.მახარაძე, ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

2. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული საკითხი დაგზავნილი იყო და ალბათ გაეცანით. ვთხოვოთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს წარმოგვიდგინოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.

1. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა: „2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 63452,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4907,0 ათასი ლარით. 2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 52452,0 ათასი ლარით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 11000,0 ათას ლარს;

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებელი შეადგენს 310,0 ათას ლარს რაც წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს. შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1370,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტები 900,0 ათასი ლარი, რენტა 370,0 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 4535,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 350,0 ათასი ლარი; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 5,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1080,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 2500,0 ათასი ლარი; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 600,0 ათასი ლარი; შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 4050,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 1250,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 950,0 ათასი ლარი; შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 300,0 ათასი ლარი

გვაქვს 10%-ანი ზრდა შრომის ანაზღაურებაში. გარდა ამისა, რგფ-დან ველოდებით მნიშვნელოვან თანხებს (დაახლოებით 11 მლნ ლარი), ასევე იზრდება ქუთაისის ანარიცხი დღგ-ის მიხედვით, საიდანაც დამატებით 2 მლნ ლარს მივიღებთ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, **ა.კოპალეიშვილმა:** „ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში პრიორიტეტულად არის აღიარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (480 ათასი ლარი), რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 290 ათასი ლარით. რატომ არ არის საერთოდ გათვალისწინებული შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია;

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)".

დ.ნიშნიანიძე: „ეს საწყისი ვარიანტია ბიუჯეტის. როგორც მოგახსენეთ, იანვრის ბოლოს ველოდებით თანხებს რგფ-დან, რომლიდანაც მოხდება ამ ღონისძიებების დაფინანსება"

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „თქვენი აზრით, საკმარისი იქნება თუ არა მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარებისათვის 3,7 მლნ. ლარი?"

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, საკმარისი იქნება, რადგან ტრანსპორტს საკუთარი შემოსავლებიც ექნება და ეს სუბსიდია საკმარისია"

ა.კოპალეიშვილი: „გამწვანებასა და დასუფთავების მიმართულებით გვაქვს შემცირება, რაც ჩემი აზრით, სკვერების რეაბილიტაციის შემცირებით უნდა იყოს გამოწვეული. ეს ასეა?"

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, ეს სხვაობა სწორედ ამან განაპირობა. შეიძლება პროგრამების დაფინანსებაში იყოს სხვაობა, მაგრამ გადანაწილებული იქნება სხვა ქვეპროგრამებში. ამ მხრივ, დასუფთავების თეას საფრთხე არ ემუქრება".

საკრებულოს წევრი **ე.არჩაია:** „სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის ჩასმულია 45 ათასი ლარი, რაც 2022 წლის მაჩვენებელს (700 ათასი ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება. რატომ არის ასეთი უმნიშვნელო თანხა ქალაქის სანიაღვრე სისტემის პრობლემების გათვალისწინებით?

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, ბიუჯეტის ზრდას რგფ-დან მოყვება ზრდა ამ პროგრამაში. ამ მხრივ დადებითი პოზიცია აქვს ინფრასტრუქტურის სამსახურსაც. აღვნიშნავ, რომ წინა წელს ბევრი სამუშაოები შესრულდა და გრანტებიც მეტი იყო, ამიტომ წინა წელთან შედარება ამ მხრივ სხვაობებს მოგვცემს".

ბ.მახარაძე: „რამ განაპირობა საპროექტო „საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის" (200 ათასი ლარი) და „საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მოსახურების პროგრამების" (400 ათასი ლარი) პრიორიტეტებად განსაზღვრა? თუ პრიორიტეტია, მაშინ რატომ ვამცირებთ თანხას „საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამაში"?

დ.ნიშნიანიძე: „მიმდინარე წლისათვის ბევრი სხვადასხვა სახის პროექტი შევიძინეთ. ამ ეტაპზე საჭირო აღარ არის მეტი თანხების ჩადება. თუ საჭიროება აღმოჩნდება, თანხა დაემატება".

ბ.მახარაძე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 24804.6 ათას ლარს (ეს არის გადასახდელების 29%). რამ განაპირობა ნაშთის დიდი მოცულობის დაგროვება?

დ.ნიშნიანიძე: „მიმდინარე წელს ვსარგებლობდით საშეღავათო პერიოდით რგფ-ის სესხიდან, რაც დასრულდა. მიმდინარე წელს გვიწევს თავნის და პროცენტის ერთად გადახდა, რაც აისახა ციფრებში".

ა.კოპალეიშვილი: „როგორ გადანაწილდება ის თანხები, რაც ახლა ბიუჯეტში ვერ მოხვდა?"

დ.ნიშნიანიძე: „როცა ახალ ბიუჯეტს წარმოვადგენთ, აქ ავსახავთ ამ თანხებს. ჩვენ ერთად მოგვიწევს ამ თანხების გადანაწილებაზე მუშაობა".

ზ.მახარაძე: „რას ფიქრიბთ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხთან დაკავშირებით?“

ე.არჩაია: „მე მქონდა წინადადება, ბიუჯეტის 3% ხალხიდან წამოსული იდეებით დაფინანსებულიყო“

დ.ნიშნიანიძე: „ამისათვის არსებობს თავისუფალი ინიციატივების პროგრამა 600 ათასი ლარის ოდენობით და აქ შეიძლება აღნიშნულის გათვალისწინება“.

ზ.მახარაძე: „რატომ არ არის გათვალისწინებული თანხა სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის? ცენტრალური ბიუჯეტიდან დახმარების გამოყოფამდე სასურველი იქნება ჩვენ გვქონდეს განსაზღვრული თანხა ჩვენი მოქალაქეების მხარდასაჭერად“.

დ.ნიშნიანიძე: „წლის დასაწყისიდან ავსახავთ ამ თანხას ბიუჯეტში, ახლა არ ჩავდევით“

ზ.მახარაძე: „არის თუ არა გათვალისწინებული თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მატება 2023 წლის ბიუჯეტით და როგორი მიდგომა არსებობს ამ კუთხით (ერთიანი თუ დიფერენცირებული)?

დ.ნიშნიანიძე: „ამ პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ 10%-ანი ზრდა ყველა კატეგორიისთვის“

ზ.მახარაძე: „მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით განსაზღვრულია 280 ათასი ლარი, რაც 50 ათასი ლარით ნაკლებია წლევანდელზე. რამ გამოიწვია შემცირება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან ამ პროგრამაში?

ვ.გობეჯიშვილი: „ამ პროგრამებში ავწიეთ სოციალური ქულა. წინასწარ ძნელია ამ პროგრამისთვის თანხის განსაზღვრა. პროგრამა ემსახურება 1546 ოჯახს. ვამატებთ უსინათლოთა კატეგორიას“

ზ.მახარაძე: „რატომ არ ითვალისწინებს ბიუჯეტის პროექტი ფილტვის კიბოს ადრეული გამოვლენის მუნიციპალური ქვეპროგრამის დაფინანსებას (წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 10 ათასი ლარი)?

ვ.გობეჯიშვილი: „ამ პროგრამაში არ იყო ბენეფიციარი და თავი შევიკავეთ ამ ეტაპზე“

ზ.მახარაძე: „გადაუდებელი რეაგირების პროგრამაში არის ზრდა. ალბათ მომართვიანობა გაითვალისწინეთ“.

ვ.გობეჯიშვილი: „დიახ, გვინდა მოქალაქეებმაც დაინახოს, ირწმუნოს, რომ სახელმწიფომ გადაწყვიტა მომართვიანობის გამო დაფინანსების ზრდა“

ზ.მახარაძე: „პროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერას (2022 წლის ბიუჯეტში 5 ათასი ლარი იყო ჩასმული). რატომ არ იქნა გათვალისწინებული თანხა ამ მუხლში?“

ვ.გობეჯიშვილი: „ამ პროგრამაში არ იყო ბენეფიციარი და თავი შევიკავეთ ამ ეტაპზე“

ზ.მახარაძე: „მრავალშვილიანთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესსაქმოანობის მხარდაჭერას, არ ხასითდება აქტიურობით. რამ განაპირობა აღნიშნული?

ვ.გობეჯიშვილი: „ამ პროგრამაში არ შეიმჩნევა აქტიურობა და მომართვიანობაც მინიმალურია“.

ი.შენგელია: „ეს პროგრამა 2018 წლიდან არსებობს და დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. 2020 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა პროგრამის შინაარსობრივი ცვლილების გამო. ხომ არ ვიფიქროთ, ძველი შინაარსით დავაბრუნოთ ეს პროგრამა, რომ უფრო რელევანტური გახდეს?“

ვ.გობეჯიშვილი: „2019-2020 წლებში სახელმწიფო აუდიტის შემოწმების შემდეგ და მათი შენიშვნების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაში ცვლილებების შეტანა, თუმცა შეიძლება მსჯელობა ამ საკითხზე დარგობრივ კომისიაზე“.

მ.ნიჟარაძე: „20 ლარიანი კომუნალური დახმარება მრავალშვილიანებზე მცირე თანხა ხომ არ არის?“

ვ.გობეჯიშვილი: „სახელმწიფო პროგრამიდან გამომდინარე, ისეთ კატეგორიას ეძლევა, თუ ერთი შვილი მაინც გახდება სრულწლოვანი. ცვლილებასთან დაკავშირებით შეიძლება ვიმსჯელოთ დარგობრივ კომისიაზე“.

კ.გურული: „ავტოქარხანაში არის დღის ცენტრი, რომელსაც ყავს 24 ბავშვი განსაკუთრებულად რთული შემთხვევებით. მათ უწყდებათ დაფინანსება“

ვ.გობეჯიშვილი: „ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამა და ჩვენ ვერ ჩავერევით. მათ ასევე ფართის პრობლემაც შეექმნებათ. თუმცა შეიძლება იმ განსაკუთრებული საკითხების იდენტიფიცირება, რაშიც შეიძლება ჩვენ დავეხმაროთ და ეს იქნება ერთობლივად გადასაწყვეტი“

ბ.მახარაძე: „მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის (0602) ქვეპროგრამები (მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება; შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა; შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა; სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება; შშმ პირთა საერთაშორისო დღე; მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა; ონლაინ სწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა; ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება; ბავშვის განვითარების ხელშეწყობა) გაერთიანდეს ღონისძიებებად და წარმოდგენილ იქნას ერთი ქვეპროგრამის სახით“.

დ.ნიშნიანიძე: „მოქალაქეებისთვის არ უნდა გართულდეს პროგრამის მოძებნა. ასეთი პრეცედენტი გვქონდა სპეცსერვისების პროგრამაში, როცა გავაერთიანეთ, შეექმნა მოქალაქეებს შთაბეჭდილება, რომ ქვეპროგრამა გაუქმდა. ამიტომ ფრთხილად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს“.

ბ.მახარაძე: „რატომ არ იქნა გათვალისწინებული გარკვეული დაფინანსება გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირებისთვის?

დ.ნიშნიანიძე: „კომისიამ უნდა წარმოგვიდგინოს კონცეფცია, მიზნები და დანიშნულება. ამის შემდეგ ვიმსჯელებთ გამოსაყოფ თანხაზე და კოდების მინიჭებაზე“.

ბ.მახარაძე: „რამ გამოიწვია ქონების გადასახადის გეგმის შემცირება, რომელმაც შეადგინა 11 მლნ.ლარი და 1 მლნ. ლარით ნალკებია წინა წლის პარამეტრზე?

დ.ნიშნიანიძე: „ფინანსთა სამინისტრო 5 ოქტომბრამდე გვიგზავნის ქონების გადასახადის მაჩვენებელს და თვითონ აკეთებს მის ადმინისტრირებას. იგი ითვალისწინებს წინა წლების მაჩვენებლებს, ტენდენციებს და მოლოდინებს, ჩვენ ამ საკითხში ვერ ვერევით“.

ა.კოპალეიშვილი: „სასტარტო პირობებში ეს ბიუჯეტი ნორმალურია, თუმცა ამ სახით მას მხარს ვერ დავუჭერთ. ამიტომ მიმაჩნია იგი გადამუშავდეს“

ბ.მახარაძე: „დიახ, ვეთანხმები ბატონ ამირანს, ბევრი მტკივნეული კითხვა დაისვა და დავუბრუნოთ მერიას გადასამუშავებლად, უფრო დაკონკრეტებული ვარიანტის წარმოსადგენად და დავაყენთ საკითხი კენჭისყრაზე“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტის მუნიციპალიტეტის მერიას დაუბრუნდეს.

ამით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ზაქარ მახარაძე**